აღდგომა უკვდავებაზე მეტია

გიორგი წეროძე

სიკვდილის საშინელება და ქრისტიანის იმედი

ავტორისგან

მღვდელი ხშირად დგას საფლავის პირას — ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე სხვა ადამიანების უმეტესობა. ის იქ დგას მაშინ, როცა მიწა ჯერ კიდევ ღიაა, როცა მგლოვიარე დედა უმწეობისაგან გონებას კარგავს, ვიღაც ქვითინებს, ვიღაც უხერხულად დუმს ან დაბნეული უყურებს კუბოს და არ იცის, სად წაიღოს ხელები. და სწორედ იქ, იმ წუთებში, ისმის ის სიტყვები, რომელთა გამოც ეს წიგნი დაიწერა.

„ნუ სტირი, ის უბრალოდ სხვა სამყაროში გადასახლდა." „ის ახლა უკეთეს ადგილასაა." სიკვდილი კარია მარადისობაში, „სხეული მტვერია, სული კი — უკვდავი." მესმის რომ ეს სიტყვები სიყვარულით ითქმის; ვინც ამბობს, ნუგეშის ცემა სურს, მაგრამ წლების განმავლობაში, ერთსა და იმავე საფლავთან მდგომმა, ნელ-ნელა შევნიშნე რაღაც შემაშფოთებელი: ეს ნუგეში არ გამოხატავს იმას, რასაც ეკლესია თავის მრწამსში აღიარებს. პირიქით — ხშირად ის სწორედ საპირისპიროა.

ეს წიგნი დაიბადა იმ ეჭვიდან, რომ ჩვენ ნელ-ნელა დავივიწყეთ, თუ რა არის სიკვდილი და რაში მდგომარეობს ჩვენი ნამდვილი იმედი. დავივიწყეთ არა იმიტომ, რომ ცუდი ქრისტიანები ვართ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს ენაში, ჩვენს ნუგეშსა და ქადაგებაშიც კი შემოიპარა აზრი, რომელიც ქრისტესი არ არის — აზრი, რომ სიკვდილი ჩვენი კარია მარადისობაში, რომ ადამიანის სული უფრო მნიშვნელოვანი და არსებითია სხეულთან შედარებით, რომ სხეული მხოლოდ დროებითი სამოსელია, რომელსაც სიკვდილისას ტოვებს.

იმავე დაკრძალვაზე, სადაც ვიღაც გვანუგეშებს, რომ „სული უკვდავია'' გუნდი გალობს წმინდა იოანე დამასკელის ტროპარს: „ვტირი და ვგოდებ, ოდეს სიკვდილს მოვიგონებდე".

ერთი ხმა ამშვიდებს, რომ სული უკვე გადარჩენილია. მეორე კი ტირის, რადგან იცის: სიკვდილი განადგურების საფრთხეა, უკანასკნელი მტერი — უკანასკნელი იმ აზრით, რომ ის ღმერთისთვის იყო საბოლოო და მთავარი სამიზნე, ქმნილებისთვის დაუძლეველი და უსაშველო ხვედრი, რომლის დამარცხების გარეშეც არაფერი დარჩებოდა ბოლომდე გადარჩენილი.

ქრისტიანული რწმენა მეორე ხმასთანაა — იმასთან, რომელიც სიკვდილზე გამარჯვების ნაყოფს იმკის და ამრავლებს, თუმცა არა სულის უკვდავების იდეით, არამედ ღმერთის განკაცებით და, უფრო მეტად, მკვდრეთით აღდგომითა და განახლებულ სამყაროში მონაწილეობით.

ერთი ამბობს, რომ სიკვდილი მხოლოდ გადასვლაა, მსუბუქი ნაბიჯი უკეთესი ცხოვრებისკენ. მეორე კი მწარედ ტირის. რომელია ამ ორიდან ქრისტიანული?

მე ეს კითხვა მხოლოდ მღვდლის გამოცდილებიდან როდი ვიცი. ვიცი იქიდანაც, რომ თვითონ გამომივლია, რას ნიშნავს დაკარგვა — არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ მთელი სამყაროსი: ქალაქის, სახლის, იმ მიწის, რომელზეც ცხოვრობდი და ახლა ვერ ცხოვრობ. ვინც გამოსცადა გაქრობის საფრთხე, როცა შენი წარსული თითქოს უმყოფობაში იძირება, ის სხვაგვარად წაიკითხავს ამ ფურცლებს.

უნდა გავაფრთხილო მკითხველი: ეს არ არის წიგნი, რომელიც სიკვდილს „ალამაზებს". არც ისეთია, რომელიც სიკვდილს „ახსნას" უძებნის და ფილოსოფიურ ნუგეშად აქცევს. ეს წიგნი სიკვდილს მთელი სერიოზულობით ეკიდება — ისე, როგორც პავლე მოციქული ეკიდებოდა, როცა მას „უკანასკნელ მტერს" უწოდებდა: საბოლოო სამიზნეს, რომლის დამარცხების გარეშეც ხსნა დაუსრულებელი რჩება. და ისე, როგორც თავად

უფალი ეკიდებოდა გეთსემანიის ბაღში. და სწორედ იმიტომ, რომ სიკვდილს მტრად ვთვლით — და არა „კარად" თუ გამათავისუფლებლად — შეგვიძლია მისი ნამდვილი დამარცხების, აღდგომის სიხარულიც განვიცადოთ.

ამ წიგნის საღვთისმეტყველო ფიქრი დიდწილად მიტროპოლიტ იოანე ზიზიულასის ნააზრევს ეყრდნობა — განსაკუთრებით იმას, რაც მან სიკვდილის, სულის უკვდავებისა და აღდგომის შესახებ დაწერა. მისი ხმა აქ მუდმივად ისმის და მე ამას არ ვმალავ. მაგრამ ეს არ არის ზიზიულასის წიგნი და არც მისი ნაშრომების შემოკლებული გადმოცემა — ეს არის ჩემი, საფლავთან მდგომი მღვდლის მცდელობა, რომ ის, რაც ღრმა საღვთისმეტყველო ენით არის თქმული, ხელახლა ვუთხრა ჩემს მრევლს, ჩვენს ენაზე, ჩვენი მიცვალებულების სახელით.

მსურს, ერთი რწმენა გაჰყვეს მკითხველს ბოლო გვერდამდე: ჩვენი იმედი ის კი არ არის, რომ სული ბუნებით უკვდავია და სიკვდილს თავისთავად გადაურჩება. ჩვენი იმედი მხოლოდ ღმერთი და მისი ხსნაა — ჩემი სიცოცხლე აღმდგარი იესოა, რომელიც მოციქულებს ეცხადებოდა და ესაუბრებოდა. მისგან მიღებული სული ღმერთთან და სხვებთან ცოცხალ ურთიერთობაში ჩაგვრთავს. სიკვდილი კი რჩება მტრად და განადგურების საფრთხედ — მტრად, რომელიც ქრისტემ უკვე დაამარცხა, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ მოდის და გვაშინებს.

ყველაფერი დანარჩენი ამ ერთი წინადადების განმარტებაა.

I. კითხვა, რომელსაც ვერიდებით

დავიწყოთ იქიდან, რასაც რეალურად ვამბობთ — არა იქიდან, რაც წიგნებში წერია, არამედ იქიდან, რასაც ცოცხალი ადამიანი ეუბნება ცოცხალ ადამიანს, როცა მათ შორის გარდაცვლილი ასვენია.

ქართველი, რომელიც ახლობელს კრძალავს, იშვიათად ლაპარაკობს ,,აღდგომაზე", განახლებულ ყოფიერებაზე. ბევრად უფრო ხშირად ამბობს: ,,დაისვენა", ,,სული ზეცაში ავიდა", ,,იქ თავისიანებს შეხვდება" და მსგავსს. ეს სიტყვები იმდენად ჩვეულებრივი გახდა, რომ აღარც კი ვუკვირდებით მათ მნიშვნელობას. მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათ მიღმა მთლიანი, დასრულებული სურათი დგას იმისა, თუ რა არის ადამიანი და რა ემართება მას სიკვდილისას.

ამ სურათში ადამიანი ორი ნაწილისგან შედგება: სხეულისგან, რომელიც მოკვდავია და მიწიერი — და სულისგან, რომელიც უკვდავი, ზეციერია, საიქიოს მკვიდრია. სიკვდილი კი ის წამია, როცა ეს სული ხორცს განეშორება: სხეული მიწას უბრუნდება, სული — ზეცას. ამ სურათშიც სიკვდილი მართლაც ტკივილი და ტრაგედიაა, მაგრამ ხშირად ისეთ ნუგეშს ვისმენთ, რომელიც ძალაუნებურად ბევრად უფრო ძველ, არაქრისტიანულ წარმოდგენებს გვაგონებს. ეს პლატონის ხედვაა. სწორედ პლატონის ,,ფედონში" ხვდება სოკრატე სიკვდილს სიმშვიდით, თითქმის სიხარულით, რადგან მისთვის სიკვდილი სულის გათავისუფლებაა სხეულის ტყვეობიდან:

,,...მე რომ არ მეგონოს, კებეს, ჯერ ერთი, სხვა, ბრძენ და კეთილ ღმერთებთან მივალ-მეთქი, და, მეორეც, გარდაცვლილ ადამიანებთან, აქაურებზე უკეთესნი რომ არიან, მაშინ უსამართლო ვიქნებოდი, სიკვდილის გამო რომ ვწუხდე".

ფილოსოფოსი, ამბობს სოკრატე, მთელი ცხოვრება სიკვდილისთვის ემზადება — ანუ იმ დღისთვის, როცა სული საბოლოოდ დააღწევს თავს სხეულს. სიკვდილი აქ მტერი კი არ არის, არამედ მეგობარი და მარადისობისკენ მიმავალი კიბის საფეხური.

და აი, ერთ დაკრძალვაზე მესმის, როგორ ამბობს მღვდელი ქადაგებისას, რომ სიკვდილი, ანუ სულის გაყრა სხეულთან, არის **ადამიანის გადასვლა ჭეშმარიტ, მარადიულ**

ყოფიერებაში, რომ ის „საფეხურია მარადისობისკენ მიმავალ კიბეზე", რომ ჩვენი მიცვალებულები ცოცხლები არიან. **სული უკვდავია და იგი სიკვდილის შემდეგ უფრო მეტად შეიცნობს რეალობას**, ვიდრე აქ, სხეულში ყოფნისას — და მსგავსს. და ვფიქრობ: ეს ხომ პლატონია, ეს ხომ „ფედონია" და არა სახარება.

იქვე, რამდენიმე ნაბიჯში, ჭირისუფალი, რომელიც პირისპირ შეეჯახა სიკვდილის რეალობას, სრულიად სხვა რამეს განიცდის — სიცარიელეს, სიჩუმეს, რომელსაც ხმა აქვს. თითქოს მთელი სამყარო უცებ ზედმეტად დიდი გახდა, თვითონ კი — აუტანლად პატარა. ხელები ვეღარაფერს აკეთებს, სიტყვები აღარავის აღწევს. გრძნობს, რომ რაღაც ისეთი მოსწყდა, რასაც სახელი არასოდეს ჰქონია. მეხსიერება სასოწარკვეთით ეჭიდება უმცირეს დეტალებს — ხმის ტემბრს, ღიმილს, ხელის სითბოს — თითქოს მათი შეკავებით თვით სიკვდილსაც შეაჩერებს. და მაინც, ყველაზე აუტანელი სწორედ ის არის, რომ სამყარო განაგრძობს არსებობას: სადღაც მანქანა გაივლის, ტელეფონი დარეკავს, ვიღაც წყალს დაასხამს ჭიქაში. ყველაფერი გრძელდება. მხოლოდ ერთი ადამიანი აღარ პასუხობს. და ამ ერთის არყოფნა უცებ მთელ სამყაროზე მძიმე აღმოჩნდება.

და მართალი სწორედ ეს არის — და არა იმ მღვდლის ქადაგება. არადა იქვე გუნდი გალობს „ვტირი და ვგოდებ, ოდეს სიკვდილს მოვიგონებდე".

ეს ტროპარი თითქოს სხვა სამყაროდან მოდის — სამყაროდან, რომელიც ისე დაგვავიწყდა, რომ თუ მღვდელს ვინმე ეტყვის, შენი ქადაგება ანაფორაში გამოწყობილი პლატონიაო, ის გაოცებული შემოგვხედავს და ვერც კი მიხვდება, რაზეა საუბარი.

ეს არის ამ წიგნის ამოსავალი ჭრილობა: ჩვენ ვლოცულობთ ერთს, ხოლო გვწამს მეორე. ეკლესია გლოვობს სიკვდილს და ელის სხეულის აღდგომას; ჭირისუფალი ტკივილისგან

დამუნჯებულია, ჩვენ კი თავს ვიმშვიდებთ, რომ „სული ისედაც უკვდავია" — და აღარც კი ვამჩნევთ, რომ სწორედ ეს ნუგეში ახშობს ლოდინსა და ტკივილში მონაწილეობას, რასაც თავად ქადაგება უნდა ბადებდეს.

მრწამსში ვამბობთ: „მოველი მკვდრეთით აღდგომას და ახალ სამყაროში უსასრულოდ ცხოვრებას" — მაგრამ ვინ ელის მას რეალურად? რამდენი ჩვენგანი ცხოვრობს ისე, თითქოს მართლა ელოდება დღეს, როცა ყველაფერი ახალ სიცოცხლეში განახლდება, ყველა გაცოცხლდება? იქნებ ფარულად მივიჩნევთ, რომ უკვე გვაქვს ყველაფერი — უკვდავი სული — და სხეულის აღდგომა და სამყაროს განახლება მორწმუნის წარმოსახვისთვისაც კი ზედმეტია?

აქ ერთი რამ უნდა განვმარტო, თორემ მომდევნო თავები გაუგებარი დარჩება. ეს წიგნი არ ამბობს, რომ სიკვდილის შემდეგ არაფერი რჩება. პლატონის ხედვა ქრისტიანობისთვის უცხო იმიტომ კი არ არის, რომ უკვდავებაზე ლაპარაკობს, არამედ იმიტომ, რომ უკვდავებას არასწორ ადგილას ეძებს — ბუნებაში და არა ღმერთში, სულის თვისებაში და არა ქრისტეს აღდგომაში, ადამიანის ნაწილში და არა მთლიან პიროვნებაში.

სხვაობა ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, თუმცა სინამდვილეში ყველაფერს ცვლის. რადგან თუ ჩვენი იმედი სულის ბუნებრივ უკვდავებაზეა დამყარებული, მაშინ — გავბედავ და ვიტყვი — ქრისტეს აღდგომა ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი აღარ არის. ის სასიამოვნო შევსებაა, მაგრამ არა გადარჩენა. ეს კი უკვე სხვა სარწმუნოებაა.

ამიტომ კითხვა, რომელსაც ვერიდებით, მარტივად ასე ჟღერს: რა არის სიკვდილი — გათავისუფლება თუ მტერი? და რაში მდგომარეობს ჩვენი იმედი — იმაში, რომ რაღაც ნაწილი ჩვენგან გადარჩება, თუ იმაში, რომ მთლიანი პიროვნება ფიზიკურად, ხორციელად აღსდგება და ახალ, დიდებულ არსებობაში დაიმკვიდრებს ადგილს?

მომდევნო თავში პასუხის ძიებას იქიდან დავიწყებთ, საიდანაც დასაბამია — შესაქმიდან. რადგან იმის გასაგებად, თუ რა არის სიკვდილი, ჯერ უნდა ჩავწვდეთ, საიდან მოვედით — და რა იმალება იმ პატარა სიტყვაში, რომელსაც ეკლესია იყენებს, როცა ამბობს, რომ ღმერთმა სამყარო „არაფრისგან" შექმნა, არაარსისაგან ყოფად მოიყვანა.

II. სიკვდილი როგორც უმყოფობაში დაბრუნება

წინა თავი ერთი კითხვით დავასრულე: საიდან მოვედით? პასუხის ძიება სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ, თორემ სიკვდილზე ვერაფერს ვიტყვით.

ეკლესია აღიარებს, რომ ღმერთმა სამყარო არაარსისაგან ყოფად მოიყვანა, არაფრისგან შექმნა. ამ სიტყვებს იმდენად ხშირად ვიმეორებთ, რომ მათ ჩვენთვის ყოველგვარი საოცრება დაკარგეს. მაგრამ თუ ერთ წამს შევჩერდებით და დავფიქრდებით, რას ნიშნავს ეს „არარა-არაფერი", თავბრუ დაგვეხვევა. რადგან აქ „არაფერი" არ ნიშნავს რაიმე ნივთიერებას, რომელიც თავიდან ცარიელი იყო და მერე ღმერთმა შეავსო. არც იმ სიცარიელეს ნიშნავს, რომელშიც რაღაც აღმოცენდა. „არაფერი" ნიშნავს სრულ, აბსოლუტურ უმყოფობას — იქ, საიდანაც სამყარო მოიხმო, არც სიცარიელე არსებობდა, რადგან სიცარიელეც ხომ რაღაცაა. იყო მხოლოდ ის, რისი გამოთქმაც ენით შეუძლებელია: არყოფნა.

და სწორედ ამ მოცემულობაში იმალება სიკვდილის საიდუმლო. თუ სამყარო უმყოფობიდანაა მოხმობილი, ეს ნიშნავს, რომ მას თავის ბუნებაშივე აქვს ჩაწერილი უმყოფობისკენ დაბრუნების შესაძლებლობა. ქმნილი არსება — იქნება ეს მცენარე, ცხოველი თუ ადამიანი — არ ატარებს თავის თავში არსებობის გარანტიას. ის არსებობს არა იმიტომ, რომ არსებობა მისი ბუნებრივი საკუთრებაა, არამედ იმიტომ, რომ ღმერთმა მოუწოდა, ინება მისი არსებობა. და თუ ეს

კავშირი ღმერთთან გაწყდა, ქმნილი იქით მიიქცევა, საიდანაც მოვიდა — უმყოფობისკენ.

ეს არ არის გარედან თავსმოხვეული სასჯელი; ეს მისი ქმნილი ბუნების შინაგანი კანონია. ქმნილი, თუ საკუთარ თავს მიენდო, კვდება — არა იმიტომ, რომ ბოროტია, არამედ იმიტომ, რომ ქმნილის ხვედრი თავისთავად კატასტროფულია: მისი ბუნებრივი ძალა არარაობისკენ მიექანება.

ეს არ არის ჩემი პირადი მოსაზრება. ეს არის წმინდა ათანასე ალექსანდრიელის სწავლება, თხუთმეტი საუკუნის წინ ჩამოყალიბებული მის ფუნდამენტურ შრომაში „განკაცების შესახებ". ის წერს, რომ ადამიანები ღვთიური მცნების დარღვევით „თავიანთი ბუნების წესს მიუბრუნდნენ" — ანუ იმ მდგომარეობას, საიდანაც გამოიხმნენ.

ჯერ უმყოფობიდან მყოფობაში მოვიდნენ; ახლა კი, დამსახურებისამებრ, ხრწნილების გამო კვლავ უმყოფობისკენ დასაბრუნებელ გზას ადგანან.

ამ ერთ წინადადებაში მთელი დრამაა მოცემული. ათანასე ამბობს, რომ უმყოფობისკენ დაბრუნება ადამიანის „ბუნების წესია". ანუ სიკვდილი არ არის რაღაც, რაც ქმნილ ბუნებას ეწინააღმდეგება — პირიქით, ის გარკვეული აზრით ზედმეტად „ბუნებრივიც" კია. აი, რა არის საშინელება: ცოდვა არ არის ბუნებიდან რაიმე არაბუნებრივისკენ გადახვევა. ცოდვა არის დაცემა ზუსტად იქით, საითკენაც ქმნილი თავისთავად მიისწრაფვის, თუ მას ღვთიური მადლი აღარ აკავებს. დარჩები ბუნების ამარა — და ბუნება უმყოფობაში მიგიყვანს.

ახლა მეორე კითხვა დავსვათ: რა არის სიცოცხლე? რადგან თუ არ ვიცით, რა არის სიცოცხლე, ვერც სიკვდილის არსს ჩავწვდებით, რომელიც მისი საპირისპიროა. ჩვენ მიჩვეულნი ვართ სიცოცხლის ბიოლოგიურ გაგებას: სიცოცხლეა იქ, სადაც მოძრაობაა, ენერგია, ზრდა და სუნთქვა. მაგრამ წმინდა წერილი და ეკლესიის მამები სიცოცხლეს სრულიად სხვაგვარად ხსნიან. მათთვის სიცოცხლე არასოდეს ყოფილა

ცალკეული არსების იზოლირებული თვისება — რაღაც, რაც შენში, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტში, არის ჩადებული.

სიცოცხლე ყოველთვის ურთიერთობაა. ის თითქოს სხვასთან კავშირია, სხვისგან აღიარებაა, სხვისკენ ლტოლვაა — წადილი, რომელიც სხვისგან იბადება. კავშირსა და ურთიერთობას შემდგომში ერთი სიტყვით — თანაზიარებად — მოვიხსენიებ. ამ სიტყვას აქ საეკლესიო საიდუმლოს მნიშვნელობით არ ვიყენებ, არამედ ისე, როგორც ცხოვრებაში ვამბობთ, როცა რაღაც საზიარო, მფლობელობაში ერთად გვაქვს. ამიერიდან, სადაც ,,თანაზიარებას" შეხვდებით, სწორედ ეს იგულისხმება: სხვასთან კავშირი, ის ლტოლვა და ერთობა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე.

ეს თავიდან შესაძლოა პარადოქსად ჟღერდეს, თუმცა თვითონ ყოფითი ენაც ამას ადასტურებს. ადამიანი, რომელიც მხოლოდ ბიოლოგიურად არის ცოცხალი — სუნთქავს, მაგრამ არავის უყვარს, არავის ახსოვს, არავისთან აქვს კავშირი — ხშირად თვითონვე ამბობს თავის თავზე, რომ ,,ცოცხალი მკვდარია". და პირიქით: გარდაცვლილი, რომელიც გვიყვარს და რომელთან კავშირი არ გაგვიწყვეტია, გარკვეულწილად კვლავ ,,ცოცხალია" ჩვენთვის. ამ შემთხვევაში ჩვენი ყოველდღიური ენა უკვე ფლობს იმ ცოდნას, რასაც თეოლოგია აყალიბებს: სიცოცხლე ურთიერთობაა.

სამყარო ვერ იარსებებს ღმერთთან კავშირის გარეშე — არა იმიტომ, რომ ღმერთი მას მექანიკურად აკონტროლებს, არამედ იმიტომ, რომ ღმერთთან თანაზიარება არის ის ერთადერთი საფუძველი, საიდანაც სამყაროს არსებობა მოედინება. ცოცხალი ხარ მანამ, სანამ ურთიერთობაში ხარ. ეს არის სიცოცხლის უმთავრესი განსაზღვრება.

ახლა კი შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, რა არის სიკვდილი. თუ სიცოცხლე თანაზიარებაა, მაშინ სიკვდილი ამ თანაზიარების გაწყვეტაა. სიკვდილი არ არის უპირველესად ბიოლოგიური მოვლენა — გულის გაჩერება თუ სუნთქვის შეწყვეტა; ეს

მხოლოდ ფიზიკური ნიშნებია. სიკვდილი თავისი არსით არის კავშირის გაწყვეტა ღმერთთან, რომელიც ყოფიერების ერთადერთი წყაროა. და სადაც ეს კავშირი წყდება, იქ ქმნილი არსება კვლავ იმ ბუნებრივ მდგომარეობას უბრუნდება, საიდანაც მოიხმო — უმყოფობას.

ამიტომ სიკვდილი არ არის სხვა ოთახში გასასვლელი კარი. ის არ არის მსუბუქი ნაბიჯი უკეთესი ცხოვრებისკენ. სიკვდილი არის სრული გაქრობის საფრთხე, შესაქმისწინა არყოფნისკენ გადადგმული ნაბიჯი.

აქ მკითხველი შეჩერდება და იკითხავს: მაგრამ ჩვენ ხომ გვწამს, რომ სიკვდილის შემდეგ რაღაც რჩება? რომ სული უკვდავია? მაშინ ის ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ზედმეტად ნიჰილისტურად არ ჟღერს? ეს მართებული შეკითხვაა — სწორედ ის კითხვა, რომელიც მომდევნო თავის შინაარსს განსაზღვრავს. რადგან სწორედ აქ, ამ წერტილში, ჩვენი ჩვეული ნუგეში — „სული ხომ უკვდავია" — ცდილობს ამ რეალობას გვერდი აუაროს.

და მე არ ვაპირებ ამ ნუგეშის უბრალო უარყოფას. ჩემი მიზანია, ვაჩვენო რაღაც ბევრად უფრო რთული: ეს ნუგეში, თუნდაც ჭეშმარიტი იყოს, სრულიად არ არის საკმარისი. სული რომც იყოს უკვდავი, ეს მაინც არ არის ის, რასაც ჩვენ, ქრისტიანები, იმედს ვუწოდებთ. ამიტომ მომდევნო თავში პირდაპირ დავსვამთ იმ შეკითხვას, რომელსაც ჩვეულებრივ ვერიდებით: რა არის ადამიანის სული და უკვდავია თუ არა ის?

III. უკვდავია თუ არა სული?

როდესაც სულზე ვსაუბრობთ, ჩვენს წარმოსახვაში ის თითქმის ავტომატურად ერთსა და იმავე სახეს იღებს — რაღაც უხილავს, უსხეულოს, თითქოს პატარა კაცუნას, რომელიც სხეულში

ბინადრობს, როგორც სახლში, და სიკვდილის დროს სახლიდან თავისუფლდება. ეს სურათი ჩვენში იმდენად ღრმად არის ჩამჯდარი, რომ ხშირად თვით ქრისტიანულადაც მიგვაჩნია, თუმცა სინამდვილეში ეს ბერძნული, პლატონური მემკვიდრეობაა და არა ბიბლიური.

პლატონისთვის სული იყო ავტონომიური, თვითკმარი არსება, რომელსაც სხეული მხოლოდ დროებით აკავებდა, თითქოს ციხეში ან სამოსად. სხეული ილუზიისა და ვნებათა სამყოფელი იყო, ხოლო სული — ჭეშმარიტი „მე", რომელიც სხეულის დაშლის შემდეგ თავისუფლდება და თავის ნამდვილ, უსხეულო ბუნებას უბრუნდება. სიკვდილი ამ ლოგიკით არა ტრაგედია, არამედ განთავისუფლებაა — სულის დაბრუნება იქიდან, საიდანაც სინამდვილეში მოვიდა.

ეს სურათი მშვენივრად ესადაგება ჩვენს ინსტინქტურ სურვილს, რომ სიკვდილი საბოლოო არ იყოს. მაგრამ სწორედ აქ გვხვდება თანამედროვე მეცნიერება — და, უნდა ვაღიაროთ, არც ისე თავაზიანად.

ნეირომეცნიერება დღეს სულ უფრო თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ის, რასაც ჩვენ პიროვნებას, „მე"-ს ვუწოდებთ, განუყოფლადაა ჩაწნეხილი სხეულებრივ, ბიოლოგიურ პროცესებში. მეხსიერება ტვინის კონკრეტულ სტრუქტურებთანაა დაკავშირებული და მათი დაზიანება მას შლის. ცნობიერება ინაცვლებს ტვინის მდგომარეობასთან ერთად — ანესთეზია, ძილი, დაზიანება. ემოციები ნეიროქიმიური პროცესებია. თვით პიროვნული იდენტობაც კი — ხასიათი, მეხსიერების ისტორია, ღირებულებათა სისტემა — მჭიდროდაა შეკრული სხეულებრივ არსებობასთან. რაც უფრო ღრმად იკვლევს მეცნიერება ადამიანურ ცხოვრებას, მით უფრო ცხადი ხდება: არ არსებობს „წმინდა" შინაგანი მე, რომელიც სხეულისგან დამოუკიდებლად, გვერდით ცხოვრობს და უბრალოდ სხეულს „იყენებს".

მეტიც, თანამედროვე კვლევები კიდევ უფრო შორს მიდის და, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მოულოდნელ სურათს გვთავაზობს: აღმოჩნდა, რომ ცენტრალური ნერვული სისტემა — სწორედ ის, რასაც ჩვენ თითქმის ინსტინქტურად სულის ბინადრობის ადგილად, გონების საყდრად წარმოვიდგენდით — ევოლუციურად სწორედ საჭმლის მომნელებელი ნერვული სისტემიდან აღმოცენდა და დღემდე მასთან ერთიან, განუყოფელ სისტემას ქმნის. მისი პირველადი ამოცანა კი არა წმინდა აზროვნებაა, არამედ ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელი სიამოვნების წარმოშობაა — შემეცნება კი, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ამ უფრო ღრმა, ,,მიწიერი" პროცესის ინსტრუმენტია. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ის, რასაც ჩვენ ყველაზე ,,სულიერ", ყველაზე ამაღლებულ უნარად, გონებად მივიჩნევდით, თავისი ფესვებით უკავშირდება ყველაზე მარტივ და მიწიერ საჭიროებას — კვებას და მისგან მომდინარე სიამოვნებას.

აქამდე შეიძლება ეს ინფორმაცია საშიშად მოგვეჩვენოს — თითქოს მეცნიერება საბოლოოდ ამტკიცებს, რომ სულის არსებობა ილუზიაა და ადამიანი მხოლოდ რთული ბიოლოგიური მექანიზმია. მაგრამ, ჩემო მკითხველო, აქ საჭიროა სიმშვიდე და სიცხადე ერთდროულად.

ჯერ ერთი, უნდა ითქვას პირდაპირ: მეცნიერება ჩვენი მტერი არ არის. ის იკვლევს, თუ როგორ ფუნქციონირებს ეს შექმნილი სამყარო — რომელი ნეირონები აქტიურდება, როგორ ინახება მეხსიერება, როგორ წარმოიქმნება ემოცია. ეს კითხვები სავსებით კანონიერია და პასუხებიც, რომლებსაც მეცნიერება იძლევა, ჩვენთვის მუქარას არ წარმოადგენს. ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას არასდროს ჰქონია ვალდებულება, შეექმნა ალტერნატიული, ,,საკუთარი" ბუნებისმეტყველება ადამიანის შესახებ, რომელიც შეეპირისპირებოდა ან შეეჯიბრებოდა მეცნიერებას საკუთარ ველზე. ჩვენ არ გვჭირდება ვაპატიოთ ბუნებას, რომ ის ისე მოქმედებს, როგორც მოქმედებს.

აქ საქმე ეხება ორ სრულიად სხვადასხვა დონეზე მდგომ კითხვას. მეცნიერება სვამს კითხვას: „როგორ მუშაობს ეს, რაც შექმნილია?" ღვთისმეტყველება კი სვამს სულ სხვა კითხვას: „რა არის საბოლოოდ ეს შექმნილი ღვთის წინაშე? და რად არის მოწოდებული ადამიანი, რომ გახდეს ქრისტეში?" ეს ორი კითხვა ერთმანეთს არ ეჯახება, რადგან განსხვავებული სიბრტყეების საკუთრებაა. ერთი იკვლევს მექანიზმს, მეორე — მნიშვნელობასა და დანიშნულებას.

ამიტომ, როცა ნეირომეცნიერება არღვევს პლატონურ სურათს — ავტონომიურ, თვითკმარ სულს, რომელიც სხეულს მხოლოდ სამოსად იყენებდა — ქრისტიანს არა თუ შიში, არამედ, პირიქით, გარკვეული თავისუფლებაც კი შეიძლება დაეუფლოს. რადგან ეს პლატონური სურათი არასდროს ყოფილა ჭეშმარიტად ბიბლიური თუ პატრისტიკული. საღვთისმეტყველო აზრი, მისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით, ყოველთვის სხვაგვარად ლაპარაკობდა ადამიანზე — არა როგორც სულზე, რომელსაც სხეული აქვს, არამედ როგორც ერთიან, განუყოფელ არსებაზე, რომელიც სულიერიცაა და სხეულებრივიც ერთდროულად.

მაშ, რა არის სული, თუკი ის არ არის „პატარა კაცი", რომელიც სხეულში ცხოვრობს?

სული არ არის დამოუკიდებელი არსება ჩვენს შიგნით — არ არის „მეორე მე", რომელიც სხეულს განაცალკევებულად ცხოვრობს და მოთმინებით ელოდება მისგან გათავისუფლებას. სული არის ერთი, მთლიანი ადამიანური პიროვნების სულიერი განზომილება — ის ასპექტი ჩვენი არსებობისა, რომელიც ღიაა ღვთისკენ, აზროვნებისკენ, სიყვარულისკენ, თავისუფლებისკენ. მაგრამ ეს განზომილება არასდროს არსებობს ცალკე, სხეულის გარეშე. ადამიანური არსებობა ყოველთვის ფსიქოსომატურია — სულიცაა და სხეულიც, განუყოფლად, ერთბაშად. ადამიანი არასდროს არის „უბრალოდ სული" — ისევე, როგორც არასდროს არის „უბრალოდ სხეული".

თუ სიკვდილი, როგორც წინა თავში ვთქვი, მართლაც უმყოფობაში დაბრუნებაა, მაშინ რა ბედი ეწევა იმ ნუგეშს, რომელსაც ყველაზე ხშირად ვისმენთ — „სული ხომ უკვდავია"? განა ეს მთელ ჩემს არგუმენტს არ აქარწყლებს?

პასუხს მკაფიო განცხადებით დავიწყებ: სული უკვდავი არ არის იმ არსებობის წესით, რომელიც ზემოთ ვახსენე — ქმნილი ვერასოდეს იქნება თავისთავად უკვდავი. უკვდავია მხოლოდ ღმერთი და ის, ვისაც მასთან კავშირი აქვს. და სანამ ამას დავასაბუთებდე, ერთი რამ უნდა განვმარტო, თორემ მთელი თავი მცდარად გაიგება. მე არ ვამბობ, რომ სიკვდილის შემდეგ არაფერი რჩება. ვინც ამ წიგნში სიკვდილის ქადაგებას ეძებს, ვერ იპოვის.

მაშ, რა არის ჩემი მიზანი? მსურს, დავსვა ერთი, მარტივი, მაგრამ ყოვლისმომცველი კითხვა: საიდან მოდის ეს უკვდავება — ქმნილი ბუნებიდან თუ ღმერთისგან?

და აქ პირდაპირ უნდა ითქვას ის, რასაც ჩვეულებრივ თავაზიანად ვამბობთ ხოლმე. იდეა, რომ სული ბუნებით უკვდავია, არ არის ქრისტიანული იდეა, რომელსაც ცოტა გასწორება სჭირდება. ის წარმართული იდეაა, რომელიც ქრისტიანულ სამოსში გადავაცვით. ეს არ არის ნათქვამი სიმკაცრისთვის — ეს უბრალოდ სიმართლეა, რომელსაც დიდი ხანია თვალს ვარიდებთ.

პლატონისთვის სული ღვთაებრივია თავისი ბუნებით — ის უკვდავია იმიტომ, რომ ასეთია მისი არსი, ისევე როგორც ცეცხლი ცხელია თავისი ბუნებით. სხეული კი საპყრობილეა, რომელშიც ეს ღვთაებრივი სული დროებით არის გამოკეტილი. სიკვდილი, შესაბამისად, კარგი ამბავია — გათავისუფლება.

და ახლა ბოლომდე მივყვეთ ამ ლოგიკას, რადგან ის ჩიხში გვაგდებს. თუ ჩემში უკვე ზის რაღაც ღვთაებრივი და უკვდავი, რომელიც სიკვდილს ისედაც გადაურჩება, მაშინ ჩემი ხსნა საჭირო აღარ არის — გამოხსნა ზედმეტი ხდება. ხორციელი აღდგომა ხდება არა სიკვდილზე გამარჯვება, არამედ სულის

ახალ სამოსში გამოკაზმვა. მე უბრალოდ უნდა დაველოდო, სანამ ეს მოკვდავი სხეული ჩამომცვივდება — ჩემი ნამდვილი, ღვთაებრივი სული მისგან გათავისუფლდება და ახალ სხეულში ჩასახლდება. განა ეს არ არის ქრისტიანობა?

ნეირომეცნიერება ანადგურებს პლატონურ სულს — იმ ავტონომიურ, სხეულისგან დამოუკიდებელ სუბსტანციას. მაგრამ ის არ ანადგურებს ქრისტიანულ იმედს. პირიქით — ის გვეხმარება, გავათავისუფლოთ ქრისტიანობა პლატონური ტვირთისგან. ჩვენი იმედი არასოდეს ყოფილა სულის ბუნებრივ უკვდავებაში. ის ყოველთვის იყო ქრისტეს აღდგომაში, სამყაროს განახლებაში. ჩვენ ველოდით სიკვდილისა და ბოროტებისაგან თავისუფალ ნეტარ არსებობას.

ის, რასაც მეცნიერება ანადგურებს, ქრისტიანული სული კი არ არის — არამედ პლატონური სულია. ის ღვთაებრივი, თვითკმარი, სხეულისგან დამოუკიდებელი „ნამდვილი მე", რომელიც სიკვდილს ისედაც გადაურჩება — სწორედ ის იდეა, რომელიც ჩვენ ქრისტიანობაში შემოვასახლეთ და რომელსაც ეს თავი თავიდანვე ებრძვის.

ასე რომ, ხდება უცნაური, თითქმის ირონიული რამ: ათეისტი ბიოლოგი და მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი ერთსა და იმავე იდეას უარყოფენ — ოღონდ სხვადასხვა მიზეზით. და სწორედ აქ მინდა გავამახვილო ყურადღება: თუ პლატონური სული ორი ასეთი შორეული მხრიდან ერთდროულად ინგრევა, იქნებ დროა, ჩვენც შევწყვიტოთ მისი დაცვა და ვიკითხოთ — განა ეს ოდესმე ჩვენი იყო?

აქედან მკაცრი ლოგიკური აუცილებლობა იშლება. წინა თავში უკვე ვთქვით, რომ ყოველივე ქმნილი არაფრისგანაა მოხმობილი და, თუ საკუთარ თავს მიენდო, უმყოფობისკენ მიიქცევა. სული კი ქმნილია. ის არ არის მარადიული; იყო წამი, როცა ის არ არსებობდა, რადგან მხოლოდ ღმერთია უსაწყისო. და თუ სული ქმნილია, ის ვერ იქნება ბუნებით უკვდავი, რადგან

თავისი ბუნებით უკვდავი მხოლოდ ის არის, ვისაც არსებობა სხვისგან არ მიუღია — ანუ მხოლოდ ღმერთი.

აქ მკაცრ ლოგიკურ კედელს ვაწყდებით: თუ რაიმე ბუნებით უკვდავია, ის ღმერთია. პავლე მოციქული პირდაპირ ამბობს, რომ მხოლოდ ღმერთია „მპყრობელი უკვდავებისა". ამიტომ თუ სულს ბუნებით, თავისთავად, ღმერთისგან დამოუკიდებლად მივიჩნევთ უკვდავად, ჩვენ მას, ფაქტობრივად, საღვთო თვისებას მივაწერთ. ეს კი უკვე არ არის წვრილმანი — ეს ღმერთის ადგილზე ქმნილის დასმაა.

და კიდევ ერთი ფარული შეცდომა იმალება აქ — ისეთი, რომელსაც ჩვეულებრივ ვერ ვამჩნევთ. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ, რომ რაკი სული უხილავია, ის ამით უკვე უფრო მაღალი, უფრო ღვთაებრივი, უფრო რეალურია, ვიდრე ხელშესახები სხეული. მაგრამ ეს უბრალო ცრურწმენაა. უხილავობა არც განსაკუთრებული არსებობის ნიშანია, არც თვითარსებობისა და არც ბუნებითი უკვდავებისა. ის, რომ რაღაცას თვალით ვერ ვხედავთ, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის სხეულზე მაღლა დგას ან ღმერთთან უფრო ახლოსაა. ეს მხოლოდ პლატონური ჩვევაა — ხილულის დაკნინება და უხილავის აღმატება — და არა ქრისტიანული ჭეშმარიტება.

მაშ, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ სული უკვდავია არა ბუნებით, არამედ მადლით — ანუ ღმერთის ნიჭით და არა საკუთარი თვისებით? დიახ. და ეს ყველაფერს ცვლის. რადგან თუ უკვდავება ღმერთის ძღვენია და არა სულის საკუთრება, მაშინ ის მხოლოდ სულით ვეღარ შემოიფარგლება.

დავუკვირდეთ ამას, რადგან აქ იმალება საკითხის გასაღები. თუ უკვდავება ღმერთის ძღვენია და არა ბუნებრივი თვისება, მაშინ რატომ უნდა მივაკუთვნოთ იგი მხოლოდ სულს? რა საფუძვლით ვტოვებთ სხეულს ამ ძღვნის მიღმა? როცა ვამბობთ „სული უკვდავია", ჩვენ ფარულად ვაღიარებთ, რომ უკვდავება სულის ბუნებრივი თვისება ყოფილა (რაკი მხოლოდ მას მივაკუთვნეთ), ხოლო სხეულისა — არა. ანუ, გვინდა თუ არ

გვინდა, ისევ „ბუნებით უკვდავების" პლატონურ გაგებას ვუბრუნდებით. ჩვენი ენა გვღალატობს: ვამბობთ „ღვთისგან ბოძებულ მადლს", ვგულისხმობთ კი „ბუნებას".

და ეს ააშკარავებს მთავარ პრობლემას: ღმერთს მხოლოდ სულის ცხონება როდი სურს. შესაძლოა, სწორედ ეს ფარული ორმაგობა იმალება სულის უკვდავების იზოლირებული იდეის უკან — ნახევრად გაცნობიერებული რწმენა, რომ მთავარია სული გადარჩეს, სხეული კი ისედაც წარმავალია. მაგრამ ღმერთს მთელი ადამიანის — და მთელი ქმნილების — ცხონება სურს. უფრო მეტიც, ის ჩვენ გვიცნობს არა როგორც სულებს, არამედ პიროვნებებს. ამიტომ, თუ მართლაც არსებობს მადლისმიერი უკვდავება — და ის არსებობს — ნუ შევზღუდავთ მას მხოლოდ სულით. რადგან განახლება და გადარჩენა მთელ ქმნილებას მოიცავს, მატერიის ჩათვლით.

ახლა კი მივადექით ამ თავის — და მთელი წიგნის — ნამდვილ ცენტრს. აქამდე ვამბობდი, რომ სული უკვდავია; ახლა კი მსურს, ჩამოვაყალიბო ბევრად უფრო პრინციპული თეზისი: სული რომც იყოს უკვდავი, ეს მაინც არ არის საკმარისი. სულის უკვდავება ვერ წყვეტს სიკვდილის პრობლემას.

ეს არ არის მხოლოდ თანამედროვე აღმოჩენა. წმინდა მამები, პირველი აპოლოგეტებიდან მოყოლებული წმინდა ათანასესა და წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ჩათვლით, თანხმდებოდნენ, რომ სული ადამიანის ნაწილია, მაგრამ თვითონ სული, სხეულის გარეშე, ჯერ კიდევ არ არის ადამიანი. წმინდა იუსტინე მოწამე პირდაპირ ამბობს, რომ როცა ეს ჰარმონია ირღვევა და სული სხეულს განეშორება, „ადამიანი აღარ არსებობს". ის, რასაც დღეს ნეირომეცნიერება სხეულისა და ცნობიერების შეუღლების ენაზე ამბობს, ეკლესიამ მრავალი საუკუნის წინ თქვა აღდგომის ენაზე.

ამიტომ, როცა სხეულს გამოაცლი, მთელი ადამიანი ქრება — სხეულიც და სულიც. სიკვდილი ორივეს გაქრობაა.

მაშ, რა არის სიცოცხლე, თუ ის სულის თვისება არ არის? სიცოცხლე ღმერთთან ურთიერთობაა — მასთან თანაზიარება. ცოცხალი ხარ არა იმიტომ, რომ რაღაც უკვდავი ნაწილი გაქვს, არამედ იმიტომ, რომ ღმერთთან კავშირში ხარ.

და სწორედ აქ ინთება იმედი. რადგან ეს თანაზიარება არ გამქრალა — მასში რჩება მკვდრეთით აღმდგარი იესო, და მასში — მთელი ქმნილება. ქრისტე აღდგა და თავის თავში შეინარჩუნა ეს კავშირი ღმერთთან; ამიტომ ჩვენც, მასთან ნათესაობით, ჩაწერილები ვართ სიცოცხლის წიგნში. სიცოცხლე თვითონ ქრისტეა — ქრისტე ღმერთში, მის კავშირში მამასთან და სულიწმიდასთან.

და ამ სიცოცხლეში რჩება ყველა, ვინც შემოქმედს იცნობს ან არ იცნობს, აღიარებს ან არა, სწამს თუ არ სწამს. ამ კავშირს ვეღარც კი გამანადგურებელი სიკვდილი არღვევს, რადგან მას ქრისტესთვის ხელი ვერ მიუწვდა, ჩვენ კი ქრისტეში ვართ. ღმერთი გვიცნობს და გვიწვევს ახალ ცხოვრებაში. აქ მხოლოდ ერთი რამ უნდა გავიგოთ მკაფიოდ: სიცოცხლე აღდგომაშია — ღმერთთან, მამასთან კავშირში — და არა სულის უკვდავებაში.

დედას, რომელიც შვილს საფლავში აბარებს, არ სურს, რომ მისი შვილის სული გადარჩეს მხოლოდ როგორც უსხეულო რაღაც. მას სურს თვით შვილის გადარჩენა — იმისა, ვისაც ჰქონდა კონკრეტული სახე, ხმა და ფიზიკური არსებობა. აი, რატომ არ არის საკმარისი სულის უკვდავება: ის მხოლოდ ნაწილის გადარჩენას გვპირდება, ჩვენ კი მთლიანი ადამიანის ხსნას ვესწრაფვით — და სწორედ ამას გვპირდება ქრისტე.

ამიტომაც წმინდა ათანასე, რომელმაც თავისი ფუნდამენტური შრომა სიკვდილისა და მისგან გამოხსნის საკითხს მიუძღვნა, ამ პრობლემის გადასაჭრელად სულის უკვდავების იდეას კი არ მიმართავს, არამედ სრულიად სხვა რეალობას: ლოგოსის განკაცებასა და აღდგომას. ეს არ არის შემთხვევითი. მთელი მისი ტექსტი სიკვდილს ეხება, მაგრამ სულის უკვდავება იქ სიკვდილის წამლად არსად არის მოხმობილი — ლაპარაკია

მხოლოდ განკაცებასა და აღდგომაზე. ათანასემ კარგად იცის ის, რაც ჩვენ დაგვავიწყდა: სული შესაძლოა უკვდავი იყოს, მაგრამ ადამიანის გადასარჩენად ეს არ კმარა, რადგან ადამიანი სხეულსაც მოიცავს — სხეული კი ჯერ კიდევ მიწაში იხრწნება.

და ახლა გავბედავ იმ დასკვნის ჩამოყალიბებას, რომელიც ამ თავის ყველაზე მძაფრი თეზისია: თუ ვიწამებთ, რომ სულის უკვდავება თავისთავად უზრუნველყოფს ჩვენს გადარჩენას, მაშინ — გვინდა ეს თუ არა — ორი უმთავრესი რეალობა ზედმეტი ხდება.

პირველი: აზრს კარგავს სხეულის აღდგომა. თუ ჩემი ნამდვილი ვინაობა მხოლოდ სულშია და სული ისედაც უკვდავია, რატომღა უნდა ველოდო მკვდრეთით აღდგომას?

და მეორე, რაც ყველაზე საშინელია — თვით ქრისტე, მისი განკაცება და აღდგომა ხდება არასავალდებულო. რადგან თუ სული თავისთავად უკვდავია, რას მაძლევს ქრისტე ისეთს, რაც ჩემი არსებობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია? სასურველს — დიახ; ონტოლოგიურად აუცილებელს — აღარ.

ფრაზა „სული უკვდავია" თითქოს გვამშვიდებს, მაგრამ ნელ-ნელა ვიქცევით ადამიანებად, რომლებსაც სიკვდილის აღარ ეშინიათ --- არა იმიტომ, რომ აღდგომის გვწამს, არამედ იმიტომ, რომ აღდგომას აღარც კი ველოდებით. გვჯერა, რომ ისედაც ყველაფერი გაგვაჩნია.

აქ წყდება ეს თავი — არა ცრუ ნუგეშით, არამედ ღია ჭრილობით. რადგან თუ სულის უკვდავება არ არის საკმარისი, მაშინ ისმის გარდაუვალი კითხვა: საიდან მოდის ჩვენი ნამდვილი იმედი? თუ ჩემი გადარჩენა არც ჩემს ქმნილ ბუნებაშია ჩაწერილი და არც სულის უკვდავებაში — სად არის მისი საფუძველი? პასუხი ქმნილ ბუნებაში არ მოიპოვება. ის ერთ კონკრეტულ პიროვნებაში, ერთ ისტორიულ მოვლენასა და ერთ ცარიელ საფლავშია. მომდევნო თავი სწორედ ამ

რეალობისკენ მიგვიძღვის: რისგან გვიხსნა ქრისტემ — და რატომ იყო ეს მის გარეშე შეუძლებელი.

IV. რისგან გვიხსნა ქრისტემ

წინა თავი ღია ჭრილობით დავამთავრე. თუ ჩემი გადარჩენა არც ჩემს ბუნებაშია ჩაწერილი, არც სულის უკვდავებაში — სად არის? სად ვეძებოთ ის იმედი, რომელიც ნუგეშზე ძლიერია? პასუხი მკაცრად მარტივია, თუმცა მისი შედეგი მარტივი არ არის: ჩვენი გადარჩენა არსად არ წერია ბუნებაში. ის ერთ მოვლენაშია — ქრისტეს აღდგომაში. და ამ თავში მინდა ვაჩვენო, რატომ იყო ეს მოვლენა არა მხოლოდ ლამაზი, არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელი — ისეთი, რომლის გარეშეც ვერაფერი ვერ გადაგვარჩენდა.

დავიწყოთ ერთი კითხვით, რომელიც თითქოს მკრეხელურია, მაგრამ წმინდა ათანასე სვამდა: რატომ იყო საჭირო, რომ ღმერთის ძე კაცად ქცეულიყო? რას ვერ მოაგვარებდა ღმერთი სხვაგვარად, ისე, რომ ამოდენა ფასი — განკაცება, ჯვარი, საფლავი — არ გადაეხადა?

პირველი პასუხი, რომელიც ენაზე მოგვადგება, ასეთია: ცოდვების მისატევებლად. ქრისტე მოვიდა, რომ ჩვენი ცოდვები ეპატიებინა. მაგრამ ათანასე აქ ჩერდება და გვეუბნება რაღაც მოულოდნელს. თუ მთელი საქმე მხოლოდ ცოდვის მიტევება იყო, ამისთვის განკაცება საჭირო არ იქნებოდა. მიტევებისთვის სინანული საკმარისი იქნებოდა. ღმერთს, რომელსაც ცოდვის პატიება სურს, შეუძლია, აპატიოს — ამისთვის ჯვარცმა არ სჭირდება. ათანასე პირდაპირ წერს: თუ საქმე მხოლოდ ერთხელ ჩადენილ დანაშაულშია და არა იმ ხრწნილებაში, რომელიც დანაშაულს მოჰყვა, მაშინ სინანული საკმარისი იქნებოდა.

რასაც ვერ მიატევებ და ვერ გადალახავ მხოლოდ სინანულით — ეს არის გაქრობის საფრთხე, უმყოფობისკენ დაბრუნება. ქრისტემ არა მხოლოდ ცოდვები მიატევა. ის სიკვდილში შევიდა და იქიდან, სხეულით, ამოიყვანა ქმნილი ბუნება. მან დაამარცხა არა მხოლოდ დანაშაული, არამედ თავად განადგურების შესაძლებლობა.

მაშ, რა იყო ის, რასაც სინანული ვერ შველოდა? რა იყო ის, რის გამოც სიტყვა იძულებული გახდა, ხორცი შესხმოდა? პასუხი იქ არის, საითკენაც პირველი თავები მიდიოდა: სიკვდილი. არა ცოდვა როგორც დანაშაული, არამედ ის, რასაც ცოდვამ გადააფარა საფარი — ქმნილის ბუნებრივი მიდრეკილება უმყოფობისკენ. ცოდვის მიტევება შეიძლება. მაგრამ ვერ მიუტევებ უმყოფობას, ვერ აპატიებ გაქრობას. გაქრობა მიტევებას კი არ ითხოვს — ის ითხოვს სიცოცხლეში მიწვევას, დამკვიდრებას, სიკვდილის შეუძლებლობას. და სწორედ ეს მოიმოქმედა იესო ქრისტემ — ღმერთმა თავის ძეში, თავისი სულით.

ათანასე ამ პრობლემის გადაჭრამდე ასე მიდის — და აქ მინდა, თვითონ ის ალაპარაკდეს, რადგან მისი სიტყვები ჩემსაზე ძლიერია:

იხილა რა, რომ გონიერი მოდგმა მყოფობას ამაოდ ფლანგავდა და ხრწნილების გამო სიკვდილი ყველაფერზე ბატონობდა, სიტყვამ ხორცი შეიმოსა, რათა უხრწნელებისაკენ კვლავ მოექცია კაცნი, რომელნიც ხრწნილებისაკენ უკუიქცნენ, და სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ გამოეხმო ისინი იმ სხეულით, რომელიც აღდგომის მადლით შეიმოსა.

შევჩერდეთ ერთ სიტყვაზე: სხეულით. ქრისტემ სიკვდილს სხეული დაუპირისპირა — არა იდეა, არა მოძღვრება, არა სულის უკვდავება, არამედ ნამდვილი, ხორციელი, აღმდგარი სხეული. ის სიკვდილში ჩავიდა იქ, სადაც ჩვენ ვიყავით განწირულნი — სხეულის ხრწნაში — და სწორედ იქიდან,

ხორცით, ამოვიდა. აი, რატომ არ კმაროდა სულის უკვდავება: სხეული იდეით ვერავინ ვერ გადაარჩენდა. სხეული მხოლოდ სხეულის აღდგომით გადარჩა.

აქ ერთი გაუგებრობა უნდა გავფანტო, რომელიც ჩვენს ღვთისმოსაობაში ღრმად ზის. სააღდგომო ტროპარში ვგალობთ: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი". და ადვილია, ეს ისე გავიგოთ, თითქოს ქრისტემ სიკვდილი იარაღად აქცია — თითქოს სიკვდილი იყო ის საშუალება, რომლითაც მან სიკვდილი დაამარცხა. მაგრამ თუ ასე გავიგებთ, რაღაც საშინელი გამოგვდის: მტრის იარაღი უცებ ჩვენი მხსნელის იარაღად იქცევა. სიკვდილი, რომელსაც პავლე „უკანასკნელ მტერს" უწოდებს, თითქოს ქრისტეს თანამშრომელი ხდება.

აქ მგონია, მნიშვნელოვანი უზუსტობაა. ღმერთს სიკვდილი იარაღად არ გამოუყენებია. მან სხვა რამ მოიმოქმედა — ბევრად უფრო ღრმა. იესო ქრისტე სიკვდილში ღვთაებრივი სიცოცხლით შევიდა. მივიდა იქ, სადაც სიკვდილი ბატონობდა. ის სიკვდილშივე ამარცხებს სიკვდილს, არა სიკვდილით, არამედ ღმერთობით — მსგავსად იმისა, როგორც თავდაჯერებული მებრძოლი მტრის მოედანზე, მის სამფლობელოში შედის და იქვე ამარცხებს მას.

და როგორ ანგრევს მას შიგნიდან? იმით, რასაც სიკვდილი ვერ ეხება. სიკვდილის არსი განცალკევებაა — ის ანგრევს კავშირს, ჰყოფს, აშორებს, ხლეჩს ყოველგვარ არსებობას. ღმერთი და მისი ყოფიერება კი არსებითად თანაზიარებაა. და როცა ეს ერთობა სიკვდილში შედის, სიკვდილი მარცხდება. ჯვარზეც კი ქრისტე მამასთან კავშირს არ წყვეტს: „მამაო, შენს ხელს ვაბარებ ჩემს სულს". სწორედ ეს არის სიკვდილის დამარცხება — არა ის, რომ ქრისტემ სიკვდილი გადაიტანა, არამედ ის, რომ სიკვდილმა მამასთან ერთობას ვერაფერი დააკლო.

ახლა მივადგებით იმას, რასაც ეს თავი ემსახურება. რას ცვლის ეს ყველაფერი? თუ ხსნა აღდგომაშია და არა ბუნებაში, ეს არ

არის უბრალოდ თეოლოგიური წვრილმანი. ეს ცვლის თვით სიკვდილის მნიშვნელობას. რადგან თუ ქრისტე აღდგა — და ის აღდგა — მაშინ სიკვდილს რაღაც სამუდამოდ წაერთვა. სიკვდილს ჰქონდა ერთი მიზანი: ქმნილების უმყოფობაში ჩათრევა. ახლა კი არსებობს ერთი ადამიანი — ქრისტე — რომელმაც ქმნილი ბუნება თავის თავში ატარა, სიკვდილში შევიდა და აღდგა. სიკვდილმა მასზე ვერ გაიმარჯვა. და ეს იმას ნიშნავს, რომ სიკვდილმა დაკარგა თავისი მიზანი, თავისი მსხვერპლი. ის ჯერ კიდევ მოდის ჩვენთან, ჯერ კიდევ გვაშინებს. მაგრამ ის უკვე ვეღარ აღწევს იმას, რისთვისაც მოდის — ვეღარ მოქმედებს განცალკევებისა და დაშლის წესით, რადგან მას სძლია ძისა და მამის ერთობამ, განკაცებულმა ღვთის ძემ, იესო ქრისტემ.

და აქედან რაღაც გამომდინარეობს, რაც ჩვენი მთელი იმედისთვის გადამწყვეტია. აღდგომის შემდეგ სიკვდილი არ გამხდარა „კარგი". არ ქცეულა გათავისუფლებად, არც ხსნის საშუალებად. ის მტრად რჩება — ისეთივე მტრად, როგორიც იყო. იცვლება არა სიკვდილის ბუნება, არამედ მისი ძალა. სიკვდილი კვლავ მოდის, კვლავ გვაშინებს, კვლავ ანადგურებს სულსა და სხეულს. მაგრამ მას წაერთვა ის, რისთვისაც მოდის: უნარი, გაანადგუროს პიროვნება და თანაზიარება.

აქ არის ფრაზა, რომელსაც მთელ წიგნში ვინახავდი ამ წუთისთვის. თუ ქრისტეს აღდგომის შემდეგ გვინდა, რომ სიკვდილი განვსაზღვროთ, მაშინ მას აღარ შეგვიძლია ვუწოდოთ „განადგურება". უნდა ვუწოდოთ რაღაც სხვა, უფრო ზუსტი და უფრო სასოებიანი: „განადგურების შეუსრულებელი მუქარა". სიკვდილი ჯერ კიდევ მუქარაა — მაგრამ მუქარა, რომელიც ვეღარასოდეს შესრულდება. დაშინება, რომელსაც ძალა აღარ აქვს. სწორედ ამიტომ შესძლო პავლე მოციქულმა, თამამად ეკითხა: „სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?" ეს შეძახილი აღდგომის დღესასწაულის გარეშე გაუგებარი იქნებოდა. ეს არ არის სიკვდილის უგულებელყოფა — ეს მისი დამარცხებაა.

და ერთი რამ უნდა დავუმატო, თორემ ეს თავი არასრული იქნება. ის, რომ ხსნა აღდგომაშია და არა ბუნებაში, არ არის მხოლოდ მართებული მოძღვრება. ის რაღაც ძვირფასს იცავს — ისეთს, რასაც ბუნებრივი უკვდავება გაანადგურებდა. ის თავისუფლებას იცავს. დავუფიქრდეთ: თუ უკვდავება სულის ბუნებრივი თვისება იქნებოდა, მაშინ ჩვენი გადარჩენა აუცილებლობა იქნებოდა — ავტომატური, გარდაუვალი, ჩვენი ნებისგან დამოუკიდებელი. ვიცხოვრებდით მარადიულად, გვინდოდა თუ არა, გვიყვარდა ღმერთი თუ არა. მაგრამ ქრისტეში ჩვენ აუცილებლობა კი არ გვიხსნის, არამედ ურთიერთობა — და ურთიერთობა ყოველთვის თავისუფალია. ამიტომ უკვდავება თავიდან ბოლომდე თავისუფლების ნაყოფია და არა ბუნების იძულება. ის გვეძლევა და არ გვეკისრება.

ეს გვამზადებს მომდევნო თავისთვის, რომელიც ამ თავისუფლების ბნელ მხარეს შეეხება. რადგან თუ უკვდავება თავისუფლების ნაყოფია, მაშინ ის შეიძლება არ მიიღო, შეიძლება უარი თქვა. და სწორედ ეს უარი — თავისუფლება, რომელიც საკუთარი თავის წინააღმდეგ მიდის — არის ის, რასაც ეკლესია ჯოჯოხეთს უწოდებს.

V. აღდგომა, თავისუფლება და ჯოჯოხეთი

წინა თავი ერთი შემზარავი თეზისით დავასრულე: თუ მარადიული არსებობა თავისუფლების ნაყოფია, მაშინ მისი უარყოფაც შესაძლებელია. ეს თავი სწორედ ამ ტრაგიკულ შესაძლებლობას — ჯოჯოხეთს ეძღვნება. და უნდა გავაფრთხილო მკითხველი: ეს არ იქნება ის ჯოჯოხეთი, რომელსაც ხშირად ხატებზე ვხედავთ — ცეცხლით, ქვაბებითა და დემონებით. რეალობა, რომელზეც ვილაპარაკებთ, ბევრად უფრო საშინელია, ვიდრე ნებისმიერი ფიზიკური ალი.

დავიწყოთ თვით აღდგომიდან, რადგან აღდგომა იცავს ორ რამეს, რომელთა გარეშეც ჯოჯოხეთის საიდუმლოს ვერ ჩავწვდებით. პირველი, რასაც აღდგომა განამტკიცებს, თავისუფლებაა — როგორც წინა თავში ვთქვი. მეორე კი მატერიალური სამყაროსა და ქმნილი ბუნების საბოლოო ხსნაა. იესო აღდგა რეალური სხეულით — და ეს ფაქტი ერთხელ და სამუდამოდ ადასტურებს, რომ ქმნილების თავისუფლებას არ ძალუძს ყოფიერების სრული განადგურება. ვერც ერთი არსების ნება, რაგინდ ბოროტი იყოს, ვერ ჩაითრევს ქმნილ სამყაროს უმყოფობაში, რადგან უკვე არსებობს ერთი — განკაცებული ქრისტე — რომელმაც ქმნილი ბუნება თავის თავში ატარა, სიკვდილის უფსკრული გაიარა და მარადიულად აღადგინა.

მაგრამ — და აი, სადაც ვლინდება ამ თავის მთელი დრამა — ამ გამარჯვებას არ წაურთმევია ცალკეული არსებისთვის თავისუფლება, ესწრაფვოს საკუთარ განადგურებას. სამყარო გადარჩა, მაგრამ ცალკეულ პიროვნებას კვლავ აქვს ძალა, თქვას უარი. მას შეუძლია აირჩიოს არსებობა თანაზიარების გარეშე — ინდივიდუალობის, თვითჩაკეტილობისა და ღმერთისგან გაუცხოების რეჟიმი. შეუძლია თავისი თავისუფლება საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართოს.

ეს ტრაგიკული შესაძლებლობაა. ქმნილებისთვის ბოლომდე არ არის დახშული ღმერთისგან განშორების, შინაგანი ნგრევისა და სულიერი სიკვდილის გზა. არ არსებობს დაუძლეველი მადლი. ქმნილ არსებებს შეუძლიათ და შეიძლება კიდეც, რომ თავი დაკარგონ — მათ მეტაფიზიკური თვითმკვლელობა ხელეწიფებათ.

შევჩერდეთ ამ სიტყვებზე: მეტაფიზიკური თვითმკვლელობა. ეს მართლაც შემზარავი თეზისია. ის ნიშნავს, რომ ღმერთის სიყვარული, რაგინდ ძლიერი იყოს, არასოდეს არის იძულება. რადგან თუ ვინმეს შენი ნების საწინააღმდეგოდ უყვარხარ და ძალით თავს გახვევს თავის სიახლოვეს, ეს უკვე სიყვარული აღარ არის — ეს ძალადობაა. ამიტომ, ღმერთის სიყვარულის აქცენტირებითაც კი, ვერ წარმოვიდგენთ ისეთ კავშირს

ქმნილებასა და შემოქმედს შორის, რომელიც მექანიკურად იძულებითი იქნებოდა — რომელიც ადამიანს თავისუფლებას წაართმევდა ცხონების სანაცვლოდ.

და სწორედ ამ თავისუფლების უფსკრულიდან იბადება ჯოჯოხეთის ნამდვილი გაგება. ჩვენ მიჩვეულნი ვართ ჯოჯოხეთის გაგებას, როგორც სასჯელისა — დანაშაულის პროპორციული საზღაურისა. მაგრამ ეს მოდელი მეტისმეტად სამართლებრივი, ზედაპირული და, ვშიშობ, მცდარიც კია. ჯოჯოხეთი არ არის გარედან თავსმოხვეული სასჯელი; ჯოჯოხეთი არის უკიდურესი მდგომარეობა — სივრცე, სადაც თავს იყრის ყოველი ნება, რომელიც სხვის ან საკუთარი თავის განადგურებას ესწრაფვის, მაგრამ ვეღარ ახორციელებს ამას აღდგომის რეალობის გამო.

დავუფიქრდეთ, რას ნიშნავს ეს: აბსოლუტური სიძულვილი — ეს უკვე ჯოჯოხეთის გემოა. ის, ვინც სხვისი არსებობის გაქრობას ნატრობს, თვითონვეა ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში აქ და ახლა, რადგან მისი ნება არყოფნისკენაა მიმართული. მაგრამ ქრისტეს აღდგომის შემდეგ ეს დესტრუქციული ნება ვეღარასოდეს მიაღწევს თავის მიზანს — სიკვდილს მსხვერპლი წაერთვა. ამიტომ ის, ვისაც არყოფნა სწყურია, მარადიულად რჩება განადგურების შეუსრულებელ წყურვილში: სურს, მაგრამ ვეღარასოდეს აღწევს. სწორედ ეს უსარგებლო, საკუთარ თავში ჩაკეტილი თავისუფლება ხდება მისი მარადიული სატანჯველი.

ამიტომაც სახარების სიტყვები — „და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში" — არ არის მხოლოდ სამართლებრივი მუქარა. მათ ღრმა არსებითი შინაარსი აქვთ. ეს არის მდგომარეობა და არა იურიდიული განაჩენი.

ახლა კი მივადგებით ჯოჯოხეთის ყველაზე ღრმა და შემზარავ განსაზღვრებას — ისეთს, რომელიც ნებისმიერ ფიზიკურ ტანჯვაზე უარესია. რა არის ჯოჯოხეთი თავისი არსით? ჯოჯოხეთი არის ღმერთის სიყვარულში ყოფნა, მაგრამ ამ

სიყვარულის მიუღებლობა. ის არის საშინელი მდგომარეობა, რომელშიც ხორციელდება სახარების სიტყვები: „არ გიცნობთ თქვენ". ეს არ არის ცეცხლი, ეს ბევრად უფრო საშინელია — ეს არის მყოფობა, რომელშიც აღარავის ეკუთვნი პიროვნულად, აღარავისთან გაქვს კავშირი — და, რაც მთავარია, აღარ გაქვს კავშირი იმასთან, ვინც ყოფიერების ერთადერთი წყაროა.

ჯოჯოხეთი არის ღია კარი იმათთვის, ვისაც სურს ღმერთის ცხოვრებიდან გასვლა — მაგრამ კარი, რომელიც რეალურად აღარსად გადის, რადგან ქრისტეს აღდგომამ უმყოფობისკენ მიმავალი ყველა გასასვლელი დახშო. ეს არის თავისუფლების საშინელი ფასი. ღმერთმა ისე შეიყვარა ქმნილება, რომ მას ნამდვილი თავისუფლება მისცა — თავისუფლება კი, რომელსაც უარის თქმა არ შეუძლია, თავისუფლება აღარ არის. ამიტომ ჯოჯოხეთის არსებობა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ღმერთის სიყვარულს. ის ამავე სიყვარულის მეორე მხარეა — სიყვარულისა, რომელიც არასოდეს მიმართავს იძულებას.

და თუ ჯოჯოხეთი ღმერთთან კავშირის გაწყვეტაა, მაშინ ცხონებაც სწორედ საპირისპიროში უნდა ვეძიოთ — ღმერთთან ცოცხალ კავშირში. და სწორედ ეს კავშირი დაამყარა ხელახლა ქრისტეს აღდგომამ. მომდევნო თავი სწორედ ამ აღდგომისკენ მიგვიძღვის — და იმისკენ, თუ რატომ აძლევს ის ყველაფერს აზრს.

VI. აღდგომა, რომელიც ყველაფერს აზრს აძლევს

წინა თავებში ვაჩვენე, რომ ჩვენი წარმოდგენა სიკვდილის შემდგომ ცხოვრებაზე უფრო პლატონისაა, ვიდრე ქრისტესი. ახლა მინდა ბოლომდე ვთქვა, რადგან ნახევრად ნათქვამი აქ საშიშია. პლატონის სწავლება სულის უკვდავებაზე არ არის ქრისტიანობის მოკავშირე, რომელსაც დახვეწა სჭირდება. ის მისი მეტოქეა. ეს ორი სხვადასხვა მრწამსია, რომლებიც ერთსა და იმავე სიტყვებს იყენებენ და სრულიად სხვადასხვა რამეს

გულისხმობენ.

რადგან ქრისტიანობა ამბობს ზუსტად საპირისპიროს: შენში არაფერია ღვთაებრივი ბუნებით. შენ ქმნილი ხარ — მთლიანად, სულითა და სხეულით — და როგორც ქმნილი, შენ თავისთავად სიკვდილისკენ ხარ მიდრეკილი. შენი სიცოცხლის იმედი შენში არ არის. ის შენ გარეთ არის — ღმერთში, რომელმაც შეგქმნა და რომელსაც ერთადერთს ძალუძს, სიკვდილს გამოგტაცოს.

ხოლო პლატონი და არისტოტელეც, თუმცა მასწავლებელს დაშორდა, იმავე ხაფანგში დარჩა. მისთვის ყოფიერების ძირში დევს რაღაც მარადიული, უქმნელი საფუძველი — რაღაც, რაც ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება. ბერძენისთვის ეს თავისთავად ცხადი იყო: არაფრისგან მხოლოდ არაფერი იქმნება, არაარსისაგან რაიმეს ყოფად მოყვანა შეუძლებელი იყო მათთვის. ხოლო მარადიულად არსებული პირველსაწყისი — ის, რასაც დასაბამი არ ჰქონია — ვერც გაქრება. ამიტომ მათთვის ყოფიერება გადარჩება, რადგან მისი ძირი მარადიულია.

და სწორედ ეს არის ის წერტილი, სადაც ქრისტიანობა მთელ ბერძნულ აზრს უარყოფს — არა ნაწილობრივ, არამედ ძირში. ეკლესია ამბობს: სამყაროს ძირში მარადიული საფუძველი კი არ დევს, არამედ არაფერი. ღმერთმა ყველაფერი არაფრისგან შექმნა. ეს ნიშნავს, რომ ქმნილებას თავის თავში არანაირი გარანტია არ აქვს — არც სულს, არც მატერიას, არც „ღვთაებრივ ნაპერწკალს". ქმნილება არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთს უნდა მისი არსებობა. და თუ ეს ნება არ იქნება — თუ კავშირი ღმერთთან გაწყდა — ქმნილება უმყოფობაში ჩაიძირება. სრულად. ნარჩენის გარეშე.

ხედავთ, რა დევს სასწორზე? თუ პლატონი მართალია, აღდგომა ზედმეტია. თუ ქრისტე მართალია, აღდგომა ერთადერთი იმედია. შუა გზა არ არსებობს. და ჩვენ,

ქრისტიანებმა, დიდი ხნის განმავლობაში ვცადეთ ამ შუა გზის სიარული — დილით აღდგომა გვწამდა, საღამოს კი „სული ისედაც უკვდავიაო". განა ეს ის ნათელია, რომელიც ბნელსა შინა ჩანს?

ახლა კი მთავარი. თუ ბერძენი მართალი არ არის — თუ ქმნილებას თავისი ძალით გადარჩენა არ ძალუძს — მაშინ აღდგომა აღარ არის ერთი ლამაზი ამბავი სხვა ამბებს შორის. ის ხდება ის ერთადერთი წერტილი, საიდანაც ყველაფერი დანარჩენი იღებს აზრს.

დავაკვირდეთ, რას ამბობს პავლე მოციქული — და ის თამამად ამბობს, თითქმის შემაშფოთებლად: „თუ ქრისტე არ აღმდგარა, ამაოა ჩვენი ქადაგება, ამაოა თქვენი რწმენაც". ის არ ამბობს, რომ აღდგომის გარეშე ქრისტიანობა ნაკლები იქნებოდა. ის ამბობს, რომ ის არაფერი, სრული სიცარიელე იქნებოდა. რადგან თუ სიკვდილს ბოლო სიტყვა ეკუთვნის, მაშინ ყველაფერი — ყოველი სიკეთე, ყოველი სიყვარული — ბოლოს უმყოფობაში ჩაიძირება. და რასაც ბოლოს უმყოფობა შთანთქავს, იმას სინამდვილეში არც ახლა აქვს აზრი.

სიკვდილი პავლესთვის არ არის ცხოვრების ერთი ეპიზოდი. ის „უკანასკნელი მტერია" — გადაულახავი ძალა, მთელი ქმნილების მტერი, ის, რომელიც ყველაფერს, რაც არსებობს, უმყოფობისკენ ექაჩება. ამიტომ მისი დამარცხება არ არის ერთი წვრილმანი გამარჯვება სხვათა შორის. ის არის ყველაზე მთავარი — ის, რისთვისაც მთელი ხსნა აღსრულდა. და სწორედ ეს მოხდა აღდგომაში: ერთმა ადამიანმა — ქრისტემ — ქმნილი ბუნება თავის თავში ატარა, სიკვდილში შევიდა და სიკვდილმა ვერ დაიჭირა. პირველად ისტორიის შიგნით, ბუნების უკანასკნელმა კანონმა — ყველაფერი კვდება — ვერ თქვა ბოლო სიტყვა.

ამიტომ აღდგომა ჯვარსაც კი აზრს აძლევს. აღდგომის გარეშე ჯვარი მხოლოდ კიდევ ერთი დამარცხება იქნებოდა — კიდევ ერთი მართალი კაცი, რომელიც ბოროტებამ გასრისა. აღდგომა

ჯვარს დიდებად აქცევს. მის გარეშე ჯვარი მხოლოდ ჯვარია, სიკვდილი მხოლოდ სიკვდილია და იმედი მხოლოდ თავის მოტყუება.

და ბოლოს, ის, რაც ამ ყველაფერს ცოცხალ აწმყოში აბრუნებს. შეიძლება ვიფიქროთ: კარგი, საყოველთაო აღდგომა მომავალში მოხდება, ჟამის დასასრულს — შორეული რამ, რომელსაც ველოდებით. მაგრამ ქრისტიანული რწმენა ამბობს უცნაურს: ის მომავალი უკვე შემოვიდა. როცა აღმდგარი ქრისტე მოწაფეებს შეხვდა და მათთან პური განტეხა, ორმოცი დღის განმავლობაში ასწავლიდა მათ. ეს ყველაზე დიდი დასტურია იმისა, რომ სიცოცხლე სიკვდილის გარეშე ისტორიის შიგნით შემოვიდა — ჯერ მთლიანად არა, ჯერ მხოლოდ წინასწარი გემოთი, მაგრამ ნამდვილად. და ჩვენც, ყოველ ჟამს, როცა ეკლესია იკრიბება და ცარიელ საფლავს იხსენებს, ამ მომავლის გემოს ვსინჯავთ. ეს არ არის წარმოსახვა. ეს იმ რეალობის წინასწარი ნიშანია, რომელიც ბოლოს მთლიანად მოვა.

ამიტომ, როცა მომდევნო თავში საფლავს დავუბრუნდებით, უკვე სხვა რამ გვეცოდინება. ჩვენ აღარ ვიდგებით იქ, როგორც ისინი, ვისაც „სასოება არ აქვს". ჩვენ ვიდგებით, როგორც ისინი, ვინც იცის, რომ უკანასკნელი მტერი უკვე დამარცხებულია — და ერთ დღეს, საბოლოოდ, მთლიანი ადამიანი აღსდგება.

VII. რა არის აღდგომა — და რა არ არის

ერთი რამ თავიდანვე უნდა გავარკვიოთ, თორემ მთელი წინა გზა შეიძლება გაუგებარი დარჩეს. როცა „აღდგომას" ვამბობთ, ბევრი ჩვენგანი ფარულად ერთ სურათს ხატავს: გვამი, რომელიც ცოცხლდება. გული, რომელიც ისევ იწყებს ცემას. ადამიანი, რომელიც საფლავიდან ადგება და უბრუნდება ზუსტად იმ ცხოვრებას, რომელიც ჰქონდა — იმავე სხეულით, იმავე ჩვევებით, იმავე საზრუნავით.

მაგრამ ეს არ არის აღდგომა. ეს გაცოცხლებაა — და ეს ორი სრულიად სხვადასხვა რამეა.

სახარებაში ქრისტემ რამდენიმე ადამიანი აღადგინა მკვდრეთით: იაიროსის ასული, ნაინელი ქვრივის შვილი, ლაზარე. მაგრამ ისინი დაუბრუნდნენ ძველ ცხოვრებას — და ერთ დღეს ისევ მოკვდნენ. ეს გაცოცხლება იყო, აღდგენა იმისა, რაც უკვე იყო. ლაზარე ისევ მოკვდა. ქრისტე კი აღდგომის შემდეგ — აღარ.

რადგან ქრისტეს აღდგომა სხვა რამ იყო. ის საფლავიდან ძველ ცხოვრებას კი არ დაუბრუნდა — ის სრულიად ახალ არსებობაში შევიდა. და სწორედ ეს არის ის, რასაც ჩვენ ველით: არა გვამების გაცოცხლება, არა ძველი ცხოვრების გაგრძელება, არამედ ახალი ყოფიერების სახე, რომელიც ჯერ კიდევ არავის უნახავს სრულად — გარდა ერთისა.

დავაკვირდეთ, როგორ აღწერს სახარება აღმდგარ ქრისტეს, რადგან აქ რაღაც უცნაური ხდება. ერთი მხრივ, ის ნამდვილი სხეულია — მოწაფეები მას ეხებიან, ის მათთან პურს ჭამს, თომა მის ჭრილობებში დებს თითს. ეს არ არის აჩრდილი, არ არის სული. ეს სხეულია. მაგრამ მეორე მხრივ, ეს სხეული თავისუფალია იმ კანონებისგან, რომლებიც ჩვენ გვბოჭავს: ის შედის დაკეტილ ოთახში, ჩნდება და ქრება, მისი ცნობა მაშინვე არ ხერხდება.

და აქ ერთი ცდუნება გვემუქრება — გვინდა, ყურადღება სწორედ ამ უცნაურ ნიშნებზე გავამახვილოთ. კედელში გავლა. უეცარი გამოჩენა. საჭმლის აღარ საჭიროება. თითქოს აღდგომის სიდიადე იმაში იყოს, რომ ფიზიკის კანონები აღარ მოქმედებს. მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა — დიდი შეცდომა. ეს ნიშნები არ არის აღდგომის არსი. ისინი მხოლოდ მინიშნებებია. თითები, რომლებიც რაღაცისკენ მიგვითითებენ.

რისკენ? იმისკენ, რომ ჩვენი ბუნება სხვაგვარად იარსებებს. არა იმისკენ, რომ უცნაური ხრიკები შეგვეძლება, არამედ

იმისკენ, რომ თვით არსებობის წესი შეიცვლება. დაცემულ მდგომარეობაში ჩვენი სხეულებრივი არსებობა სიკვდილის ძალით ხშირად იქცევა იმ საზღვრად, სადაც ერთმანეთისგან განცალკევებას განვიცდით. ჩვენი სხეულებრივი არსებობა ექვემდებარება ავადმყოფობას, სიბერესა და სიკვდილს; სწორედ სიკვდილი გვამყოფებს საკუთარი გადარჩენის ბრძოლაში, გვიბიძგებს შიშისკენ, თავდაცვისკენ და სხვასთან დაპირისპირებისკენ. აღდგომაში კი სხეული აღარ იქნება სიკვდილის მიერ დამონებული არსებობის ადგილი. იგი გახდება ის, რისთვისაც თავიდანვე იყო შექმნილი — ადგილი, სადაც პიროვნული სხვადყოფნა და სრული თანაზიარება ერთმანეთს აღარ დაუპირისპირდება.

აი, რა არის ახალი სხეულის სიდიადე. არა ის, რომ საჭმელი აღარ დაგვჭირდება, არამედ ის, რომ აღარ დაგვჭირდება სხვისგან თავის დაცვა. პიროვნება საბოლოოდ თავისუფალი იქნება, სხეულებრივი არსებობის საშუალებითაც, სხვისთვის სრულ გახსნილობაში.

ახლა კი ერთ სიტყვას დავუბრუნდეთ, რომელსაც ყოველ კვირას ვამბობთ და აღარ გვესმის მისი სიღრმე: აღდგომა. დავაკვირდეთ ამ სიტყვას. ის ნათესავია სიტყვისა „აღდგენა". ერთი ფესვი აქვთ — დგომა, ფეხზე დადგომა. აღდგენა ნიშნავს, რომ რაღაც, რაც დაეცა, ისევ ფეხზე დადგება. რაც დაინგრა, ისევ აშენდება. რაც დაიკარგა, ისევ დაბრუნდება.

ეს შემთხვევითი არ არის. ჩვენი ენა აქ რაღაც ღრმას ინახავს. რადგან აღდგომა მართლაც აღდგენაა — მაგრამ რისი? აქ ფრთხილად უნდა ვიყოთ, თორემ პლატონს დავუბრუნდებით. ჩვენ არ ვბრუნდებით უბრალოდ ბუნებაში, რომელიც წარსულში გვქონდა. არ ვბრუნდებით იმ ბიოლოგიურ ცხოვრებაში, საიდანაც წამოვედით. ეს გაცოცხლება იქნებოდა და არა აღდგომა.

მაშინ რა აღდგება? ერთი რამ უნდა გავიხსენოთ, რაც წინა თავებში ვთქვით: ჭეშმარიტი ყოფიერება არ არის ის, რაც

წარსულში იყო. ის არის ის, რაც ბოლოს გამოვა — ის, რასაც ღმერთმა თავიდანვე განგვიზრახა. და ეს ჭეშმარიტი ყოფიერება უკვე იყო — ერთ ადამიანში, ქრისტეში. ქრისტეში უკვე გაცხადდა ის ჭეშმარიტი ადამიანური ყოფიერება, რომლისკენაც მთელი ქმნილება იყო მოწოდებული. ის იყო პირველი. ჩვენ კი — მისკენ მიმავალნი.

ამიტომ, როცა ვაღდგებით, ჩვენ არ ვუბრუნდებით საკუთარ წარსულს. ჩვენ შევდივართ იმ ესქატოლოგიურ ყოფიერებაში, რომელიც ქრისტეში უკვე გაცხადდა. ეს არის აღდგენის ნამდვილი აზრი: არა ძველი ცხოვრების შეკეთება, არამედ ადამიანის ჭეშმარიტი ყოფიერების სისრულეში შესვლა — დაბრუნება იქით, საიდანაც ყველაფერი დაიწყო, და სადაც ყველაფერი მიდის. ვბრუნდებით არა იმად, რაც ვიყავით, არამედ იმად, რისთვისაც შევიქმენით.

და ახლა მივადგებით იმას, რაც, შესაძლოა, ყველაზე ძნელი მისაღებია — და ყველაზე ღრმა. ქრისტემ თქვა, რომ აღდგომის შემდეგ ადამიანები „არც ცოლს ირთავენ, არც თხოვდებიან". ეს სიტყვები ხშირად გვაშინებს. ისე ჟღერს, თითქოს იქ, სასუფეველში, სიყვარული გაქრება — თითქოს ის, რაც აქ ყველაზე ძვირფასი გვქონდა, იქ აღარ იქნება.

მაგრამ დავაკვირდეთ — ქრისტე არ ამბობს, რომ სიყვარული გაქრება. ის ამბობს, რომ რაღაც გადაიზრდება სხვა რამეში. და ამის გასაგებად ერთი კითხვა უნდა დავსვათ: რა არის ნამდვილი სიყვარული აქ, ამ ცხოვრებაში — მისი საუკეთესო, ყველაზე სუფთა სახით?

ვინც ნამდვილად უყვარდა, იცის პასუხი. ნამდვილი სიყვარული არ არის ფლობა. ის არ არის სხვის შენთვის მითვისება. პირიქით — რაც უფრო ნამდვილია სიყვარული, მით უფრო თავისუფლებას აძლევს ის საყვარელ ადამიანს. შეყვარებული, რომელსაც მართლა უყვარს, არ აპატიმრებს მეორეს — ის ანთავისუფლებს მას. ცოლ-ქმარი, რომელთა სიყვარულიც ნამდვილია, ერთმანეთს არ ფლობს, არამედ ერთმანეთს

თავისუფლებას ჩუქნის. სწორედ ეს არის სიყვარულის ყველაზე ღრმა ნიშანი: არა „შენ ჩემი ხარ", არამედ „შენ თავისუფალი ხარ, და მე გვერდით გიდგავარ".

მაგრამ — და აი, რა არის გასაღები — ეს თავისუფლება, რომელსაც ჩვენ აქ ვაჩუქებთ ერთმანეთს, მხოლოდ ზარდახშაა. ჩანასახი. ჩვენ მას ვცდილობთ ამ ფიზიკურ, შეზღუდულ არსებობაში, სადაც სხეული ჯერ კიდევ ჰყოფს, სადაც ეჭვი, შიში, სიკვდილი ყოველთვის ახლოსაა. ჩვენი საუკეთესო სიყვარულიც კი აქ ნახევრად შებოჭილია. ის ნამდვილია, მაგრამ არასრული — როგორც თესლი, რომელიც ჯერ არ აღმოცენებულა.

და სწორედ ეს თესლი გაიხსნება სასუფეველში. ის, რასაც ცოლ-ქმრული სიყვარული მხოლოდ ჩურჩულით ამბობს — „გინდა, რომ თავისუფალი იყო" — იქ ხმამაღლა ითქმება, სრულად, ყოველგვარი შიშის გარეშე. „აღარ ირთავენ ცოლს" არ ნიშნავს, რომ სიყვარული ნაკლები იქნება. ის ნიშნავს, რომ სიყვარული უფრო მეტი იქნება — იმდენად თავისუფალი, რომ აღარ დასჭირდება ის საზღვრები, რომლებითაც აქ ვიცავთ მას. აქ ჩვენ გვიყვარს ერთი, ორი, რამდენიმე — და დანარჩენისგან თავს ვიცავთ. იქ კი პიროვნება საბოლოოდ თავისუფალი იქნება, შეიყვაროს ყველა ისე, როგორც აქ მხოლოდ ერთის სიყვარული შეგვეძლო.

ის სიყვარული, რომელიც ჯერ კიდევ სიკვდილისა და ინდივიდუალობის საზღვრებში არსებობს, რომელიც აქ გვაქვს, საბოლოოდ გადაიზრდება იმ თავისუფალ, ფართო, პიროვნულ თანაზიარებად, რომლისთვისაც თავიდანვე ვიყავით შექმნილნი.

და ეს არის, ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს, რომ აღდგომა აღდგენაა. ჩვენი ისტორია — ჩვენი სიყვარული, ჩვენი ოჯახი, ჩვენი მიჯაჭვულობები — არ უქმდება. ის არ იშლება, თითქოს არასოდეს ყოფილიყო. პირიქით: ის ისე გაიხსნება, როგორც კოკორი იხსნება ყვავილად. ვერ იტყვი, რომ ყვავილმა კოკორი

„გააუქმა". ყვავილი არის ის, რისკენაც კოკორი მთელი დროის განმავლობაში მიდიოდა. ჩვენი მიწიერი ცხოვრება, მთელი თავისი სიყვარულითა და ტკივილით, ის კოკორია. სასუფეველი — ის ყვავილი.

ამიტომ აღდგომა არ არის ჩვენი ცხოვრების უარყოფა. ის არის მისი აღსრულება. ის არ ამბობს, რომ ის, რაც აქ გვიყვარდა, ამაო იყო. ის ამბობს: ის, რაც აქ გიყვარდა, მხოლოდ დასაწყისი იყო. და ის, რაც იქ გელის, არ არის ნაკლები, არამედ უსასრულოდ მეტი — ის ნამდვილი, თავისუფალი, პიროვნული ყოფიერება, რომელიც ქრისტეში უკვე იყო, და რომელშიც, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც აღვდგებით.

VIII. ველოდოთ სხეულის აღდგომას

მთელი წიგნი ერთი სცენით დაიწყო: საფლავი, ღია მიწა, ცრემლები და ის ნაცნობი სიტყვები — „მისი სული ზეცაშია". ახლა, ბოლო თავში, იმავე საფლავს ვუბრუნდები, ოღონდ სრულიად სხვა კითხვით: რას ველოდები ნამდვილად, როცა იქ ვდგავარ?

მრწამსში ვამბობთ: „მოველი მკვდრეთით აღდგომასა და ცხოვრებასა მერმისსა საუკუნესა". ეს „მოველი" არ ნიშნავს უბრალო აღიარებას ან მექანიკურ რწმენას; ის ნიშნავს ცოცხალ, მთელი არსებით ლოდინს — ისეთს, როგორითაც ადამიანი საყვარელი ადამიანის დაბრუნებას ელის. და აი, კითხვა, რომელსაც ვერ ავუვლით გვერდს: რამდენი ჩვენგანი ცხოვრობს რეალურად ამ ლოდინით?

ვშიშობ, პასუხი მტკივნეულია: ჩვენ აღარ ველით სხეულის აღდგომას. მას მართლაც ვამბობთ მრწამსის კითხვისას, მაგრამ ფარულად აღარაფერს ველოდებით. რატომ? იმიტომ, რომ ნუგეში სხვაგან ვეძებეთ — სულის უკვდავებაში. და თუ

მართლა გვწამს, რომ ნამდვილი პიროვნება მხოლოდ სულშია და სული ისედაც უკვდავია, მაშინ — ვაღიაროთ გულახდილად — სხეულის აღდგომა ჩვენი ნეტარებისთვის თითქოს სრულიად ზედმეტი დანამატი ხდება.

დავუსვათ ეს კითხვა საკუთარ თავს პირდაპირ: შენ, ვისაც სულის ბუნებრივი უკვდავების გჯერა და ამით ნუგეშობ — რას შეცვლიდა შენთვის სხეულის აღდგომა? რა ისეთ ფასეულს წაიღებდა შენგან სიკვდილი, რასაც აღდგომა დაგიბრუნებდა? თუ ბოლომდე გულწრფელი იქნები, ალბათ იტყვი: არაფერს, რადგან ისედაც ყველაფერი მაქვს — სული გადარჩება, დანარჩენი კი, სხეული თუ მიწა, უმნიშვნელოა.

და სწორედ ამ აზროვნებაშია მთავარი პრობლემა. რადგან თუ სხეულის აღდგომა აღარაფერს ცვლის, მაშინ ის რეალობა, რომელსაც პირველი ქრისტიანები ასეთი მოუთმენლობით ელოდნენ, ჩვენთვის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმულად იქცა. ისინი აღდგომას ელოდნენ, როგორც უმნიშვნელოვანეს მოვლენას — როგორც დღეს, როცა უკანასკნელი მტერი, სიკვდილი, საბოლოოდ დამარცხდება. ჩვენთვის კი ის გადაიქცა თეორიად, რომელსაც ფორმალურად ვაღიარებთ, მაგრამ რომელიც ჩვენს ცხოვრებას აღარ ეხება. ვამბობთ, მაგრამ ამ რეალობით არ ვცხოვრობთ.

აქ ერთი დაზუსტება მმართებს, თორემ შესაძლოა მცდარი გაგება გაჩნდეს. მე არ ვამბობ, რომ სიკვდილს წარმართული შიშითა და სასოწარკვეთით უნდა შევხვდეთ. პავლე მოციქული პირდაპირ გვასწავლის, რომ არ ვწუხდეთ ისე, „ვითარცა სხუანი იგი, რომელთა არა აქუნ სასოებაჲ". ქრისტიანს მართლაც ხელეწიფება სიკვდილთან უშიშრად შეხვედრა. მაგრამ — და ეს გადამწყვეტი ნიუანსია — საიდან მოდის ეს უშიშრობა?

თუ ის ქრისტეს გამარჯვებიდან და საყოველთაო აღდგომის იმედიდან იბადება, მაშინ ეს ნამდვილი, ქრისტიანული უშიშრობაა. მაგრამ თუ ის სულის ბუნებრივი უკვდავების იდეას ეფუძნება — რასაც პავლე მოციქულის თეოლოგიაში ვერ

ვპოულობთ — მაშინ ეს უკვე სრულიად სხვა რამეა: პლატონური უშიშრობა. და სწორედ ეს ფარული ჩანაცვლება ხდის ჩვენს რელიგიურ ცნობიერებას საშიშს.

განსხვავება ერთი შეხედვით უმნიშვნელოა — ორივე შემთხვევაში ხომ ადამიანი სიკვდილს სიმშვიდით ხვდება. მაგრამ ეს ორი სიმშვიდე სრულიად სხვადასხვა სამყაროდან მოდის. პირველი ამბობს: „არ მეშინია, რადგან სიკვდილი ნამდვილი მტერი არ არის — ის მხოლოდ სულის სხვა მდგომარეობაში გადასვლაა". მეორე ამბობს: „არ მეშინია, რადგან მტერი, თუმცა რეალური და შემზარავია, ღმერთის მიერ უკვე დამარცხებულია". პირველი მიდგომა სიკვდილის ტრაგედიას აკნინებს; მეორე კი იესოს გამარჯვებას ადიდებს. და მხოლოდ ეს მეორე ხედვაა ქრისტიანული.

ამიტომ, ის, რისკენაც ეს წიგნი მოგვიწოდებს, ერთადერთია: არა უბრალოდ დავიბრუნოთ ლოდინი — დავიბრუნოთ ის „მოველი", რომელიც მრწამსის ტექსტში შემოგვრჩა, მაგრამ გულიდან ამოვარდა. ვიცხოვროთ ისე, თითქოს მართლა ველოდებით დღეს, როცა მიცვალებულნი აღსდგებიან — არა როგორც უსხეულო სულები, არამედ როგორც მთლიანი პიროვნებები: საკუთარი სახით, ხმითა და ფიზიკური სხეულით.

ადამიანის ნამდვილი ხვედრი: არა უბრალოდ უკვდავება, არამედ სრული მონაწილეობა იმ ცხოვრებაში, რომელიც ქრისტემ გაგვიცხადა. ეს ცხოვრება კი თავისი არსით ტრინიტარულია. მამა მარადიულად რჩება პიროვნული სხვადყოფნისა და თვითდადგენის წყაროდ — ის გვიხმობს თითოეულს არსებობისკენ. ძე არის ის გზა, რომლითაც ქმნილება ამ ცხოვრებაში შედის — ის არ არის ჩაკეტილი კარი, არამედ ახალ სიცოცხლეში მონაწილეობა. ხოლო სულიწმიდა არის ის, ვინც ამ თანაზიარებას სიცოცხლეს ანიჭებს და მომავალს უკვე ახლა, ეკლესიის წიაღში, რეალურ ურთიერთობად აქცევს.

აი, რა იმალება იმ პატარა სიტყვის — „მოველი" — მიღმა. ჩვენ არ ველით უბრალო გადარჩენას; ჩვენ ველით ყოფიერების სისავსეს. ველით იმ დღეს, როცა მამის მიერ მოწოდებული, ძის მიერ გზაგახსნილი და სულიწმიდით აღვსილი ადამიანი — მთლიანი, სულითა და სხეულით — საბოლოოდ იქცევა იმად, რისთვისაც შეიქმნა: პიროვნებად ღმერთთან და ერთმანეთთან მარადიულ თანაზიარებაში.

და თუ ამ ჭეშმარიტებას კვლავ აღმოვაჩენთ საკუთარ თავში, მაშინ მომავალში, საფლავთან მდგომნი, სრულიად სხვა სიტყვებს წარმოვთქვამთ. ჩვენ აღარ ვიტყვით: „დაისვენა, გამიფრინდა, მისი სული ზეცაშია". ჩვენ ვიტყვით იმას, რასაც თვითონ ეკლესია ღაღადებს: „მოველი მკვდრეთით აღდგომას, მომავალ ცხოვრებას". და ეს „მოველი" აღარ იქნება მხოლოდ ლიტურგიკული ფორმულა; ის იქნება ნამდვილ არსებობაში უკვე ახლა მონაწილეობა — ცოცხალი, მტკივნეული, სასოებით აღვსილი ლოდინი იმათი ხორცშესხმული დაბრუნებისა, ვინც დროებით დავკარგეთ და ვისაც აღდგომის დიდებულ დღეს ხელახლა ვიხილავთ.

ეს არის ჩვენი იმედი. და ეს იმედი უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის საშინელება.